ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 163 (18705) შაბათი, 16 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲛᲝᲕᲐᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲕᲔᲠᲛᲔᲑᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲡᲐᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ გაჩაღებულია ალოობა, სოფლად ახლა ყველას გაცხარებული მუშაობის დრო უდგას, მაგრამ საქმეს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ სტიქია თავისას არ იშლის. ამ დღეებში კვლავ დაისტყვა მესხეთისა და შუა ქართლის ბაღ-ვენახები.

ამ ვითარებაში სოფლის მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ორგანიზებული გარჯით უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს წერილს, და ყველაფერს აკეთებენ, რათა შეინარჩუნონ ყოველივე, რაც ადამიანს თავისი მარჯვენით და გონებით შეუქმნია, მეტი უკუგებით გამოიყენონ ალოობის ყოველი საათი ყუთიანი საკვებით ფერმების სამიმდო უზრუნველყოფისათვის; მომავალი მოსავლისათვის ზრუნვასთან ერთად სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საზამთროდ ფერმების მომზადებას.

ამას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ზამთარში მეცხოველეობის კონვეიერის შეთანხმებულ მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული ფერმის მუშაკთა მიერ ნახეკარი წლის მანძილზე მოპოვებული ნარმატებების გამრავლება, ნაკისრ ვალდებულებათა და დასახულ გეგმათა გადამეტებით შესრულება.

ამას მოითხოვს სტიქიით დაზარალებული სახალხო მეურნეობის აუმოქმედებელი რეზერვებით შევსების ინტერესები, მთელი საზოგადოებრიობის ინტერესები, მაგრამ ეს იოლი საქმე არ არის, ვინაიდან ბუნების ჭირვეულობით მიყენებული ზარალის აღმოფხვრა, თავის მხრივ, დამატებითს მუშახელსა და სახსრებს საჭიროებს, მაგრამ იქ, სადაც ზუსტად არის ორგანიზებული შრომა, სადაც შეძლეს ცვლებად მოეწყოთ საკვებდამამზადებელი რაზმების, ტრანსპორტის მუშაობა, სადაც მექანიზატორები უზრუნველყვეს შრომისა და დასვენების კარგი პირობებით, შედეგები საგულისხმოა. საერთოდ კი, უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში წლითიწლობით ბევრი რამ კეთდება საკვებწარმოების ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციისათვის, თივის, სენაჟის, სილოსის და სხვა სახეობის ფურაჟის მარაგის შევსებისათვის, მაგრამ ფერმის მოთხოვნილება მათზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება, ხოლო სოფლის მცხოვრებთა პირად პირუტყვს სანახევროდაც არ ჰყოფნის. ამას ისიც ემატება, რომ საკვების დამზადების ტექნოლოგიის უხეში დარღვევის გამო ყოველწლიურად ათიათასობით ტონა საკვები ერთიული იკარგება.

ამ სიძნელეებთან დაკავშირებით, ზამთრისათვის საკვების მაქსიმალური მარაგის დაგროვების ყოველგვარი შესაძლებლობის უნარიანად გამოყენებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ შეიმუშავა და ახორციელებს საფურაჟე რესურსების გადიდების კომპლექსურ ღონისძიებებს. მაგალითად, მინდვრის ნაყოფიერების გაუმჯობესების, ნათესების სტრუქტურის სრულყოფის და საკვებნარმოების უკეთ ორგანიზაციის მეოხებით სამტრედიის, წულუკიძის, ჩხოროწყუს რაიონებში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფერმების მოთხოვნილება სენაჟზე უკვე უზრუნველყოფილია; აქაური მეურნეობები თივის დამზადებაშიც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს უსწრებენ. მწვანე კონვეიერის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის უკეთ გამოყენებით საძოვრულ სეზონში დიდ წველადობას აღწევენ და სასუქებელ ბოედნებზე ნორმებს გადამეტებით ასრულებენ საგარეჯოს, წულუკიძის, მცხეთის, ლენტეხის, ზესტაფონის რაიონების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცხოველეები. მაგრამ ყველგან ასე როდია. მარნეულის, ამბროლაურის, ახმეტის რაიონების მეურნეობებში თითოეულ ძროხაზე საფლეღამისო ნახევარი შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით შემცირდა. ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმები ვერ შეასრულეს ახმეტისა და ნალკის რაიონების მეურნეობებმა.

საქმე ის არის, რომ ეს ორი რაიონი თიბვასა და სენაჟის დამზადებაშიც ჩამორრჩა და ამით კიდევ უფრო მეტ სინძელეებს უქმნის მეცხოველეობას მომავალი ბაგური კვების პერიოდში.

ივლისის პირველი დეკადის შედეგები მოწმობს, რომ თიბვის ტემპი შენელდა თელავის, ხაშურის, ბოლნისის და თერჯოლის რაიონებში. ამ საქმეში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მეტი ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ.

უფრო პრინციპული და მომთხოვნი უნდა ვიყოთ იმათ მიმართ, ვინც არღვევს, ზუსტად არ ასრულებს საკვების დამზადების ტექნოლოგიურ რეკომენდაციებს, ვინაიდან შეცდომები ფურაჟის დამზადების ორგანიზაციაში კვლავ მეორდება; კვლავ დიდია შუალედი ბალახის თიბვასა და დაზვინვას შორის; ზოგან მწვანე მასას დებენ მოუპირკეთებელ ტრანშეებში, ნაკლებად ამზადებენ მაღალი კლასის ბალახის ფხვნილს. ფურაჟის ყუთიანობის გასადიდებლად ფართოდ ვერ ვიყენებთ კარბამიდს, რძემჟავას შრატს, კონსერვატებს და აქტიური ვენტილირებით თივის ხმობას. მაგალითად, კასპის რაიონის სამთავისის კოლმეურნეობაში სენაჟი ულპებათ იმის გამო, რომ ტექნოლოგია დაარღვიეს. ამავე მიზეზით ასობით ტონა უხარისხო სილოსს ინახავენ ახმეტის რაიონის ალვანის და ზემო ხოდაშნის, თელავის რაიონის გულგულის და წინანდლის საბჭოთა მეურნეობებში. ეტყობა, ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ საკვების ხარისხი პირუტყვის პროდუქტიულობის, მეცხოველეობის ეფექტიანობის გადიდების მთავარი პირობაა. ამ დიდმნიშვნელოვან უბანს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ აქაურმა სპეციალისტებმაც, თორემ ზამთარში საკვების უკმარისობის და უხარისხობის კომპენსაცია დასჭირდებათ მარცვლეულის კონცენტრატების ხარჯზე. ეს კი გაადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას და ულუფის სტრუქტურასაც გააუარესებს.

საკვების დამზადების ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტია ყველა კულტურის აღების ვადების ზუსტი დაცვა. ამიტომ, სადაც პირველ თიბვას თვეობით აჭიანურებენ, იქ დიდძალ საკვებ ერთეულს კარგავენ. აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ და ურწყავ ნაკვეთებში ბალახი უხვად არის. საფურაჟე საამქროების მიერ ამ შესაძლებლობის მაქსიმალურმა გამოყენებამ უნდა განსაზღვროს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ტემპი.

საფურაჟე მარცვლეულის, თივის, სილოსის მარაგის გადიდების დიდ შესაძლებლობას იძლევა სანანვერალო თესვაც, რასაც ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა თელავის, სიღნაღის, ყვარლის და მარნეულის რაიონებში.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დახმარება უნდა გაუწიონ მეურნეობებს საკვებმომპოვებელთა შეჯიბრების ფარგოდ გაშლაში; ისე უნდა განაწილდეს ძალები, ყველა რესურსი, რომ ზამთრისათვის საკვები გეგმაზომიერად მზადდებოდეს. ამასთან მუდმივი კონტროლი უნდა დაუწესდეს გამოზამთრებისათვის მზადებას. სპეციალისტებს, საშუალო რგოლის კადრებს ამთავითვე უნდა ჰქონდეთ გამოზამთრების მოწყობის დაზუსტებული გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ოპტიმალური, საბოლოო შედეგების მიღწევის ყველა დეტალი.

ზაფხულშივე უნდა შეკეთდეს საკვები საამქროები, ბოსლები, სასაქონლო ეზოები, ფარეხები, საღორეები, საფრინველეები, შემოწმდეს სამექანიზაციო საშუალებები, ელექტროხაზები, თბომომარაგება და წყალსადენები. ამ საქმეს გულისყურით უნდა მოვეკიდოთ, თორემ შარშან ბევრგან ფერმის მოწყობილობათა გაუმართაობამ, დაუთბუნებელმა სადგომებმა პირუტყვის პროდუქტიულობის შემცირება გამოიწვია.

ახლა ზაფხულის დღეებში გონივრულად გამოვიყენოთ ყველაფერი, თვით უმნიშვნელო რეზერვები, რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის და საკვების დასამზადებლად, საზოგადოებრივი და პირადი პირუტყვის ნარმატებით გამოსაზამთრებლად. აი რა არის ამჟამად საბრუნავი!

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

თავის მორიგ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და ჟ. მარშეს მეთაურობით საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრის შედეგები.

პოლიტბიუროს მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა ერთობლივი განცხადება, ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას და აქ მიღებულ დოკუმენტს ორი პარტიის მეგობრული ურთიერთობისა და სოლიდარობის შემდგომი განვითარებისათვის, ხაზი გაუსვა, რომ ვალრმავდა მათი ერთობლივი მიდგომა იხეთი უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი, როგორიც არის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის ბრძოლა. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ერთმანეთს ემთხვევა ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აზრები იმ მხრივ, რომ საბჭოთა და ფრანგი ხალხების ინტერესები, აგრეთვე ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმე მოითხოვს სსრ კავშირისა და საფრანგეთის, ორი ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობას, მეგობრობისა და თანამშრომლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გაფართოვდეს მრეწველობის საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) უფლებები დაგეგმვისა და სამეურნეო საქმიანობაში და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა მუშაობის შედეგებისათვის. ეს ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ, შემუშავებულია საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელთა, მეცნიერი მუშაკებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტების ფართო წრის მონაწილეობით. მათში ასახულია საწარმოთა დირექტორებისა და მეცნიერთა მიერ გამოთქმული წინადადებანი, აგრეთვე პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში და მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებებში დასახულია გაუმჯობესდეს მრეწველობის ძირითადი რგოლი— საწარმო გაერთიანებისა და საწარმოების საქმიანობის დაგეგმვა, შეიქმნას იხეთი პირობები, რომლებიც სტიმულს მისცემს ხარისხიან, მაღალნაყოფიერ შრომას, ინიციატივისა და სოციალისტურ თაოსნობას, უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ინტენსიფიკაციას. ამ ღონისძიებათა მიზანია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და განმტკიცდეს ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული საწყისების განვითარებასთან, საწარმოთა და გაერთიანებათა მართვაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებასთან, სამეურნეო ანგარიშის ფართო დანერგვასთან შესამებით. ამ მიზნით გათვალისწინებულია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში მოეწყოს დაგეგმვისა და სამეურნეო საქმიანობაში საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების უფლებათა გაფართოების, მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ეკონომიკური ექსპერიმენტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება ცენტრალურ პრესაში.

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის ფართო გაშლისა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ახალი ელექტროსადგურების ხაიმედოობისა და უსაფრთხოების ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი.

პოლიტბიუროს მოიხმინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია ქალაქ ვოლგოდონსკში საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევათა შესახებ. თანამდებობის პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ დარღვევებში, მკაცრი სახელი დადგოთ. მიღებულია ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, შესაბამისი სამინისტროები და უწყებანი, ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა აღმოფხვრან ქალაქის სამრეწველო და სოციალურ-კულტურული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებებით გამოწვეული შედეგები.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ინფორმაცია ჟ. მაუის მეთაურობით ლიბანის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის შესახებ. განიხილეს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 15 ივლისი. გულითადად შეხვდნენ აბაშის რაიონის მშრომელები საქართველოში ვ. მაიაკოვსკის საკავშირო დღეების მონაწილეებს. რაიონულ ცენტრს ამშვენებს პოეტის პორტრეტები, სტრიქონები მისი უკვდავი ლექსებიდან, „როსტა-ს ფანჯრის“ პლაკატები.

პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ღვინჭილიამ სტუმრებს უამბო აბაშის ცნობილი ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც რაიონის ეკონომიკის დიდი მიღწევებით დაგვირგვინდა.

ლიტერატორები შინ ესტუმრნენ კოლმეურნე ი. ქაჭარავას, რომლის საკარმიდამო მეურნეობა სახელმწიფოს ყოველწლიურად აძლევს 6-7 ტონა ხორცს. სტუმრებმა დაათვალიერეს მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის რეპროდუქტორი, ლიმონარიუმი, საკოლმეურნეო ყანები და ფერმები.

საიუბილეო ზეიმის მონაწილენი იყვნენ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ კუბელმა პოეტმა და ცნობილმა მთარგმნელმა ანნელ აუსნერამ გამოთქვა სურვილი თარგმნოს გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის პროზაული ნაწარმოებები.

შემდეგ მაიაკოვსკის საკავშირო დღეების მონაწილეებმა კვლავ ქუთაისს მიაშურეს. ისინი ეწვივნენ № 1 საშუალო სკოლას — ყოფილ კლასიკურ გიმნაზიას, სადაც სწავლობდა მომავალი პოეტი. სიუკუნოვან ჭადრებთან, რომლებსაც ახსოვთ ყრმა „ვალოდია-მაიაკი“, დგას ქანდაკება: ჭაბუკს, რომელსაც წელში გამოყვანილი გიმნასტურზე ქამარი შემოუტყაპამს, წიგნი უპყრია ხელთ. მნახველს თვალს სტაცებს 1905 წლის დემონსტრაციებისა და მოსწავლეთა გაფიცვების აქტიური მონაწილის არწივისებრი მზერა, ვაქაკაცური სახე.

ერთ-ერთ კლასში ახლაც დგას მერხი, რომელსაც ვალოდია უჯდა. ეს ოთახი, რომელიც მემორიალური გახდა, სათუთად ინახავს ფოტოდოკუმენტებსა და სხვა მასალებს, რომლებიც მომავალი რევოლუციის მეზღუდის ჭაბუკობის წლებს გვაცნობენ.

სკოლის საკატო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ქალაქის ახალგაზრდობასთან.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს გელათის სამონასტრო კომპლექსი, დაესწრნენ ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპეტიციას.

ლადო მესხიშვილის სახელობის დრამის თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც ვ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. საღამოს გახსნისას პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. რუხაძე გულთბილად მიესალმა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ლიტერატორებს და უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

სცენაზე დიდხანს გაისმოდა ქართული, რუსული, უკრაინული, თურქმენული, ბურიატული, ბულგარული, პოლონური, უნგრული, ჩეხური, კუბური, მონღოლური, ვიეტნამური, ქხმერული ლექსები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში წაიკითხეს გამოჩენილი კუბელი პოეტის ნიკოლას გილიეხის წერილი. იგი, კერძოდ, წერს: „პოეტები, როგორიც ზემოქმედებაც ჩვენზე დროთა განმავლობაში კი არ კლებულობს, არამედ დღითიდღე მატულობს, ჩვენს ცხოვრებას აღავსებენ თავისუფლებისადმი ლტოლვით, მოგვიწოდებენ საბრძოლველად. მაიაკოვსკი —ეს არის დიდება, რომელიც მოდის არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხთა წილად. იგი ასევე გვეკუთვნის ჩვენ, ეკუთვნის ჩვენს, კუბის რევოლუციას.

ვწუხვარ, რომ ვერ ვესწრები მაიაკოვსკის 90 წლის იუბილეს და თქვენთან ერთად, ძვირფასო საბჭოთა პოეტებო, ვერ გამომითქვამს ჩემი სიყვარული და უმდაბლესი სალამი პოეტისადმი“.

საღამოზე გამოვიდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ვ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის დღესასწაულობის საკავშირო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ე. ისაევი. მან სტუმართმოყვარული მიღებისათვის გულთბილი მადლობა მოაახსენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს მწერალთა კავშირს, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს.

— ასეთი კონტაქტები საჭირო ადამიანებისათვის, —თქვა მან,— მწერლებისათვის კი განსაკუთრებით აუცილებელია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ახლანდელი შეხვედრა თვალსაჩინო ნიშანსვეტი გახდება ახალი შესანიშნავი ნაწარმოებების, თარგმანების შექმნის, რუსული და ქართული ლიტერატურების საბელოვან ტრადიციათა განგრძობადმკვიდრების გზაზე.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).



100 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ, მათ შორის 70 ჰექტარი მხხმოიარე, უკირავს საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობის ვენახებს. საგულდაგულოდ უვლიან ვაზს მექანიზატორები. ამ დღეებში მათ კიდევ ერთხელ შეწამლეს ვენახი ბორდოს ხსნარით.

წილკნელმა მევენახეებმა პირობა დადეს, რომ ხუთწლედის მესამე წელს ყოველ ჰექტარზე მოიწევენ საშუალოდ ას ცენტნერ ყურძენს, გეგმით გათვალისწინებულზე ა ცენტნერით მეტს.

სურათებზე: ვენახებში თავდადებულად შრომობს ახალგაზრდა ტრაქტორისტი გელა ალსაბაძე; მცხეთის რაიონის წილკნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში მიმდინარეობს ვენახების შეწამვლა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

535 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲢᲔᲛᲞᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეჩაიეობის რაიონების პლანტაციებში რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, ხეზონის დაწყებიდან 15 ივლისისათვის მოკრეფილია 250.014,9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 216.359 ტონა. წელს 33.655,9 ტონით მეტია მოკრეფილი.

ახლა სუბტროპიკულ ზონაშიც პაპანაქების სიცხეებია. მიუხედავად ამისა, სახელოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები მუშამოსამსახურეთა და მოსწავლეთა დახმარებით აძლიერებენ კრეფის ტემპს და წარმატებასაც აღწევენ. წლეულს მარტო ერთ დღეს, 14 ივლისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 4.154 ტონა ნედლეული, შარშან ამავე რიცხვში კი 3.038 ტონა.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 41.416 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 35.269 ტონა, გალში — 24.649, ქობულეთში — 21.569, ოჩამჩირეში — 20.413, წალენჯიხაში— 15.983, ლანჩხუთში — 13.565, ჩხოროწყუში — 12.260, გეგეჭკორში — 10.806, ხელვაჩაურში — 10.647, ჩობატაურში — 7.395, ცხაკაიაში — 5.470, ტყიბულში — 5.445, წყალტუბოში — 5.287, ხობში — 5.058, წულუკიძეში — 4.623, გუდაუთაში — 3.676, გულრიფშში — 1.465, სამტრედიაში — 1458,4, ჭიათურაში — 792, თერჯოლაში — 775,2, ქედაში — 773,4, ვანში— 516, სოხუმში — 417, აბაშაში — 286,9 ტონა.

ჯერ კოკისპირულმა წვიმებმა, ახლა სიცხეებმა პლანტაციებში ხელსაყრელი პირობები შექმნა უხვად შემოსულიყო ჩაის ფოთოლი საკრეფად, ამიტომ ყოველი წუთი ძვირფასია, რომ არც ერთი დუყი არ დაგვრჩეს მოუკრეფავი. ვკრეფოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ამინდის ყოველგვარ პირობებში და საქმით ვუპასუხოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილს საქართველოს მშრომელებისადმი.

მეჩაიეებო! გვახსოვდეს, ივლისი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. არ შევანელოთ კრეფის ტემპი.

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ — ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ 1983 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	პირუტყვი და ფრინველი: % 6 თვის შესაბამის გეგმასთან	პირუტყვი და ფრინველი: 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით +, − ტონით	რძე: % 6 თვის შესაბამის გეგმასთან	რძე: 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით +, − ტონით	კვერცხი: % 6 თვის შესაბამის გეგმასთან	კვერცხი: 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით +, − ათას ცალით
სულ საქართველოს სსრ	109	+3.674	102	+3.414	105	+20.235
მათ შორის:						
აფხაზეთის ასსრ	131	+ 524	108	+ 71	100,6	— 4.264
აჭარის ასსრ	116	+ 53	104	+ 136	94	— 527
სამხრეთ ოსეთის აო	120	+ 207	109	+ 327	102	+ 1.140
რაიონები:						
აბაშის	105	+ 154	102	+ 56	131	— 182
ადიგენის	107	+ 9	109	+ 52	138	+ 65
ამბროლაურის	100,0	+ 16	100,9	— 24	103	— 67
ახპინძის	103	+ 3	112	+ 26	107	+ 36
ახალქალაქის	103	+ 272	100,6	+ 137	118	+ 535
ახალციხის	100,9	+ 133	106	+ 37	100,2	— 150
ახმეტის	82	— 261	62	— 508	100,7	+ 48
ბოგდანოვკის	100,5	+ 426	100,5	+ 356	104	— 1
ბოლნისის	113	+ 216	103	+ 25	111	+18.377
ბორჯომის	100,6	+ 3	100,5	+ 32	100,8	+ 4
ვანის	120	+ 5	100,9	+ 79	104	+ 2
გარდაბნის	100,3	+ 150	100,0	+ 701	100,1	+ 267
გეგეჭკორის	102	+ 25	105	+ 99	100,1	+ 84
გორის	102	+ 158	97	— 182	97	— 1.564
გურჯაანის	105	— 77	100,0	+ 65	121	+ 106
დმანისის	119	+ 163	117	+ 682	178	+ 233
დუშეთის	110	+ 102	100,2	+ 184	112	+ 454
ზესტაფონის	118	+ 22	109	+ 60	121	+ 11
ზუგდიდის	104	+ 22	101	+ 163	102	+ 50
ყაზბეგის	133	+ 81	—	— 4	—	—
ქარელის	100,4	+ 24	109	+ 69	107	+ 22
კასპის	130	+ 103	100,0	+ 12	164	+ 199
ყვარლის	100,3	+ 37	100,2	— 7	100,0	+ 99
ლაგოდეხის	105	+ 24	93	+ 207	103	+ 8
ლანჩხუთის	113	+ 36	106	+ 10	114	+ 38
ლენტეხის	122	+ 13	109	+ 42	—	—
მახარაძის	119	+ 124	103	+ 35	95	+ 8
მარნეულის	102	+ 72	100,0	— 113	101	+ 28
მაიაკოვსკის	123	+ 16	118	+ 94	119	+ 65
მესტიის	108	+ 2	103	+ 13	—	—
მცხეთის	100,0	+ 9	100,1	+ 96	120	+ 5
ონის	145	+ 105	103	+ 26	124	+ 52
ორჯონიკიძის	106	+ 21	103	+ 5	120	+ 2
საგარეჯოს	130	+ 302	102	+ 7	104	+ 303
სამტრედიის	120	+ 11	100,3	+ 101	124	+ 146
საჩხერის	100,9	+ 19	108	+ 36	98	+ 982
სიღნაღის	102	— 60	95	— 53	104	+ 373
თელავის	102	— 77	100,0	+ 76	58	— 731
თერჯოლის	123	+ 99	108	+ 52	110	+ 34
თეთრი წყაროს	104	+ 160	100,0	+ 99	100,6	— 28
თიანეთის	108	+ 29	85	+ 66	139	+ 425
ხაშურის	110	—	105	+ 19	102	+ 1.233
ხობის	100,4	— 40	101	+ 11	100,0	+ 16
წალკის	70	— 127	90	— 491	102	— 7
ცაგერის	111	+ 10	132	+ 55	161	+ 84
წალენჯიხის	107	+ 6	120	+ 126	134	+ 1
წითელწყაროს	102	— 294	102	+ 143	132	+ 501
წულუკიძის	111	+ 26	102	+ 26	112	+ 8
ცხაკაიას	122	+ 120	101	+ 30	113	+ 155
ჩობატაურის	117	+ 21	105	+ 8	138	+ 39
ჩხოროწყუს	124	+ 63	120	+ 169	117	+ 67
ქ. წყალტუბოს ზონა	104	+ 84	106	+ 10	111	+ 1.237
ქ. ჭიათურის ზონა	106	+ 76	119	+ 110	143	—
ქ. ტყიბულის ზონა	105	+ 15	114	+ 55	115	+ 113

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების დიდმა უმეტესობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ექვსი თვის გეგმა. მთლიანად რესპუბლიკაში ამ სახეობათა მიხედვით გეგმა 109 პროცენტით შესრულდა. ეს მაჩვენებელი შარშანდელსაც აღემატება.

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვაში ჩამორჩება მხოლოდ ორი რაიონი — ახმეტა და წალკა. რძის დამზადებაში 54 რაიონიდან და ქალაქების ზონებიდან ექვსი თვის გეგმა ვერ შეასრულეს ახმეტის,

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია

მეორე გამოცემად გამოვიდა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის წიგნი „რჩეული სიტყვები და სტატიები“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სკმიანობა, ამოცანები და გეგმები, რომლებსაც იგი სახავს, გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მისი კოლექტიური გონება შეიმუშავებს, პარტიისა და ქვეყნის თანამედროვე პერიოდის თავისებურებანი, — ყოველივე ეს უცვლელად არის საბჭოთა ადამიანების, უფართოესი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის კომუნისტები და უპარტიოები, საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მოსახლეობის პროგრესული ფენები ესოდენ ცხოველი ინტერესებით იმ ცნობას, რომ პოლიტგბამა გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის რჩეული სიტყვებისა და სტატიების კრებულის მეორე, მნიშვნელოვნად განახლებული გამოცემა. წიგნში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, საბჭოთა საზოგადოების განვითარების საკვანძო პრობლემები, წარმოჩენილია მთელი ის მრავალმხრივი მუშაობა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ეწევიან კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის.

* * *

ეკონომიკის, პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის როგორც სადღეისო საჭირბოროტო საკითხების, ისე პერსპექტივების სწორი გაგებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმ ეტაპის ხასიათის შესახებ, რომელზეც ახლა იმყოფება ჩვენი საზოგადოება. პარტიამ იგი განვითარებული სოციალიზმის ეტაპად განსაზღვრა. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის წიგნში დამაჯერებლად არის დახასიათებული მომწიფებული სოციალიზმის ცხოვრების განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, სხვადასხვა მხარე. ჩვენი სამშობლოს განვითარების ეს დონე, რომელიც საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის შეუპოვარი აღმშენებლობითი შრომის მეოხებით არის მიღწეული, კრებულის ფურცლებიდან მკითხველს წარმოუდგება როგორც კომუნისტური მშენებლობის, კომუნიზმის პირველი ფაზისა და კომუნისტური მერმისის მზარდი ყლორტების მრავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანის განხორციელების რეალურ წარმატებათა, ისე გუშინდლიდან შემორჩენილ გადასაჭრელ პრობლემათა დიალექტიკურ ერთიანობად. ეს არის საზოგადოება, სადაც უკვე მთლიანად შეიქმნა ეკონომიკური ბაზა, სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკური სისტემა, რომლებიც შეესაბამება სოციალისტურ პრინციპებს, სადაც სოციალიზმი, როგორც იტყვიან, ვითარდება თავის საკუთარ კოლექტივისტურ საფუძველზე. ამავე დროს, ეს არის საზოგადოება, რომელიც აწყდება ზრდის გარკვეულ სიძნელეებს, აღმოფხვრის ნაკლოვანებებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ობიექტურ, ისე, მნიშვნელოვანწილად, სუბიექტურ მიზეზებთან, ადამიანთა მუშაობასთან, ყოველთვის რომ ვერ არის ხოლმე მარჯვე და ორგანიზებული. „ჩვენ ალად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, სად ვიმყოფებით, — აღნიშნავს წიგნის ავტორი. — წინ გავუსწროთ მოვლენებს — ნიშნავს წამოვაყენოთ განუხორციელებელი ამოცანები; დავჯერდეთ მარტოოდენ მიღწეულს — ნიშნავს არ გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც ჩვენ გვაქვს. ვხედავდეთ ჩვენს საზოგადოებას რეალურ დინამიკაში, მისი ყველა შესაძლებლობითა და საჭიროებითურთ — აი, რა მოგვეთხოვება ახლა“. (გვ. 245).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რეალისტური მიდგომა, საქმიანი და გულახდილი გაშუქება არსებული პრობლემების და გადასაწყვეტი საკითხებისა, კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ზუსტი ორიენტირების განსაზღვრა შეადგენს ახალგამოსული წიგნის პრინციპულ ქარგას, და ზუსტად გამოხატავს პოზიციას, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭერა მხარი ქვეყნის ყველა მშრომელმა, — გაზეთწყოთ საქმისათვის და არა მაღალფარდოვანი სტატეებისთვის!

კრებულში კომპლექსურად აღებული და გაანალიზებული თანამედროვე და პერსპექტიული ამოცანების არსი, საკუთრივ, ის არის, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესად განსაზღვრა (იხ. გვ. 245). ეს შეადგენს ახლა პარტიისა და ხალხის საქმიანობის მთავარ შინაარსს — ღრმად ვსწავლობდეთ, სრულყოფდეთ, კვლავაც ვავითარებდეთ და ვიცავდეთ საზოგადოებას, როგორც ღღესდღეობით სამართლიანად არის აღიარებული სოციალური პროგრესის უმაღლეს მიღწევად. საქმე ეხება იმას, აღნიშნულია წიგნში, რომ შესაძლებლობანი, რომლებიც ღღეს გვაქვს, გამოვიყენოთ უფრო ეფექტიანად და თანამიმდევრულად.

საბჭოთა ხალხის საქმიანობის მთავარი სფეროა ეკონომიკა. ეკონომიკას ხმარდება მასების ძირითადი შემოქმედებითი ძალისხმევა, მათი ინიციატივა, მათი მუშაობის სურვილი და უნარი. სოციალისტურ პირობებში ეკონომიკის განვითარება ხალის ეკონომიდ ცხოვრების გაუჯობესების ერთადერთი წყაროა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სპეციალურ ამოცანის — საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტას განსაზღვრავს ჩვენი მუშაობის ხარისხი, ყველასი და თითოეულის შრომითი ძალისხმევა. „როგორც ვმუშაობთ, ისევე ვცოვრობთ. და თუ გვინდა უკეთ ვიცხოვროთ, მაშინ უფრო უკეთ უნდა ვმუშაობთ, დავაწინაურთოთ ჩამორჩენილნი, არ შეეფერებოდეთ ნაკლოვანებებს“ (გვ. 172). წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვისათვის, დროის, შრომის, მასალის ეკონომიისათვის ბრძოლა მარტოოდენ მასების შემოქმედებითი ძალისმეკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები როდია ახლანდელ ეტაპზე. ეს არის აგრეთვე იმის მაგისტრალური გზაც, თუ როგორ განვამტკიცოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობის თვით საფუძველი.

პარტიამ განსაზღვრა ეკონომიკის სფეროს სკკვნძო ამოცანა — შრომის ნაყოფიერების კარდინალური ზრდა. საჭიროა, ყოველივე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და ვაწარმოებთ, ვაკეთოთ და ვაწარმოოთ შეძლებისდაგვარად უმცირესი დანახარჯებით, მაღალხარისხოვნად, სწრაფად, კარგად.

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ეს ამოცანები, განვახორციელოთ დასახული გეგმები, უნდა მივაღწიოთ, რომ ყოველ ადამიანს ღრმად ესმოდეს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: რომელ უბანზეც უნდა იმყოფებოდეს იგი, მის პირად შრომაზეა დამოკიდებული საერთო წარმატება და, მაშასადამე, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებაც. საჭიროა ავამაღლოთ ორგანიზებულობა, გაძვამტკიცოთ ყველა ფორმის დისციპლინა. და სწორედ დისციპლინით უნდა იწყებოდეს ყოველივე. თუ არ გვექნა ჯეროვანი დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა, აღნიშნავს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, ვერ შეგძლებთ სწრაფწინსვლას. წესრიგის დამყარება არ მოითხოვს არავითარ კაპიტალდაბანდებებს, სამაგიეროდ უდიდეს ეფექტს გვაძლევს (იხ. გვ. 225).

დისციპლინის განმტკიცების საკითხი წინათაც არაერთგზის აღძრულა. მაგრამ ახლანდელ პირობებში, განვითარებული სოციალიზმის პირობებში მას ახლებური ელერადობა ენიჭება. ხომ ვიცით, რომ რაც უფრო მეტად არის განვითარებული საწარმოო აპარატი, რაც უფრო ხშირი და რთულია საწარმოთა ურთიერთმოქმედების ქსელი, მით უფრო მეტია მომთხოვნელობა შრომითი საქმიანობის კოორდინაციისა და ორგანიზებულობისადმი, მით უფრო ძლიერ გავლენას ახდენს წარმოების ზოგად რიტმზე, მის საბოლოო შედეგებზე დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა, გეგმის შეუსრულებლობა, წუნი მუშაობაში. დღეს დისციპლინის მდგომარეობით არის დაინტერესებული მთელი საზოგადოება, მისი განმტკიცებისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა, რომელსაც ყოველნაირად უნდა ვუჭერდეთ მხარს და ვავითარებდეთ. ყოველ პატრონსან შრომელს, თითოეულ შრომითს კოლექტივს, მთლიანად საზოგადოებას უფლება აქვს მკაცრად მოჰკითხოს უნიათო მუშაკს, ხოლო თუ საჭიროა, საკადრისადაც დასჯოს იგი (იხ. გვ. 186). ამასთან, როცა დისციპლინისათვის ვიბრძვით, მთავარია არ დავწვრილმანდეთ, არ გავიგიგეოთ მეცადინეობა ეფექტურ, მაგრამ ნაკლებეფექტიან კამპანიათა განხორციელებასთან, არ დავადგეთ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ესა თუ ის ღონისძიება პრობლემას ერთიანად და გადაგვაჭრევინებს. აქ საჭიროა შრომითი კოლექტივების, პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების ხანგრძლივი, შეუპოვარი, თანამიმდევრული მუშაობა.

პარტიის ამ ზუსტ პოზიციას განმტკიცებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმზე მთავარი ყურადღება დაეთმო მუშაობის სტილის სრულყოფას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას, დაკავებული პოსტის მიუხედავად ყველა მუშაკისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებას. იგი ერთსულოვნად მოიწონეს კომუნისტებმა ყველა შრომელმა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის წიგნის მრავალი ფურცელი ეძღვნება ჩვენი სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. დღეს ქვაკუთხედად დგება ამოცანა — გავიაზროთ და თანამიმდევრულად განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც მეტ სამოქმედო სარბიელს მისცემს ჩვენს ეკონომიკაში არსებულ კოლოსალურ აღმშენებლობითს ძალებს. ეს ღონისძიებანი უნდა იყოს გულდასმით მომზადებული, რეალისტური და, მაშასადამე, მათი შემოშავებისას საჭიროა განუხრელად ვიხელმძღვანელოთ სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის განვითარების კანონებით, დავძლიოთ ყოველგვარი ცდები, როცა ეკონომიკას მართავენ მისი ბუნებისათვის უცხო მეთოდებით, მეორე მხრივ, აღნიშნავს ავტორი, როცა შესაბამის ღონისძიებებს დავთქვამთ და სათანადო გადაწყვეტილებას მივიღებთ, შუა გზაზე აღარ ვდგებოდეთ, შუა გზაზე აღარ ვდგებოდეთ საქმე. ყოველივე, რაც გადაწყვეტილია, უსათუოდ უნდა შესრულდეს. ეს ჩვენი პარტიის ლენინური ტრადიციაა და მისი გადახვევა არ შეგვაშენის (იხ. გვ. 236).

(განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია განაწილებითი ურთიერთობის მოწესრიგება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების, სპეციფიკური მოთხოვნილებების ზუსტი აღრიცხვის, საერთო-სახალხო ინტერესებთან მათი ოპტიმალური შეხამების უზრუნველყოფა. ამრიგად, შეიძლება ამოქმედდეს საბჭოთა ეკონომიკის ზრდის, საბჭოთა საზოგადოების განვითარების უაღრესად მძლავრი მამოძრავებელი ძალა. არსებითად, საქმე ეხება იმას, რომ შეიქმნას ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც უფრო აქტიურად მისცემს სტიმულს ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივასა და თაოსნობას. და ჰრიქით, ცუდი მუშაობა, უსაქმურობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალო და გარდაუვალ გავლენას უნდა ახდენდეს როგორც მატერიალურ ანაზღაურებაზე, ისე მუშაკის მორალურ ავტორიტეტზე (იხ. გვ. 210).

პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ ჩვენი მშენებლობის დასახული ამოცანებისა და გეგმების განხორციელება შეუძლებელია, თუ თითოეულ მუშაკს მტკიცედ არ ექნა შეგნებული, რომ სწორედ მის მუშაობაზე, მის პოლიტიკურ აქტიურობაზე, პირადად მასზეა დამოკიდებული საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტა, თვით ქვეყნის განვითარება. კრებულში შეტანილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში აეტორი საგანგებოდ ეხება ამას და აღნიშნავს, რომ საჭიროა მტკიცედ ავიყვანოთ მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში. „ჩვენ ნათლად ვხედავთ, რაოდენ სერიოზული ზიანი მოაქვს ამ მუშაობის ზარვეზებს, ადამიანთა შეგნების არასაკმარის მოწიფულობას, რასაც არცთუ იშვიათად ვაწყდებით ხოლმე. და, პირიქით, ჩვენ უკვე დღესვე კარგად ვგრძნობთ, რაოდენ იზრდება წინსვლის ტემპი, როცა იდეოლოგიური მუშაობა უფრო ეფექტიანი ხდება, როცა მასებს უქეთ ესმით პარტიის პოლიტიკა და აღიქვამენ მას თავიანთ საკუთარ, ხალხის ღვიძლი ინტერესების შესაბამის პოლიტიკად“ (გვ. 284). ვიღვაწოთ, რათა ჩვენში ადამიანი იზრდებოდეს არა მარტო როგორც გარკვეული ცოდნის მატარებელი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქე, მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი, მისთვის დამახასიათებელი იდეური დებულებებით, მორალური ინტერესებით, შრომისა და ქცევის მაღალი კულტურით — ეს ნიშნავს უფრო სრულად ვიყენებდეთ მშრომელი მასების მძლავრ აღმშენებლობითს პოტენციალს. იდეოლოგიური მუშაობა მთელი პარტიის უმნიშვნელოვანესი საქმეა.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს სოციალისტური დემოკრატიის, საერთოსახალხო სახელმწიფოს განვითარების ძირეულ საკითხებს. „ჩვენ ნამდვილი ომი უნდა გამოვუცხადოთ ისეთ პრაქტიკას, როცა საქმით არ განამტკიცებენ ჩვენს დემოკრატიულ ნორმებსა და მითითებებს, როცა სჯერდებიან მხოლოდ ფორმას, საქმის მოჩვენებითობას“, —ხაზს უსვამს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი (გვ. 292). ამავე დროს იგი ზუსტად მიგვანიშნებს, რომ დემოკრატიის განვითარებას ობიექტურად განაპირობებს საზოგადოების მატერიალური შესაძლებლობებიც და მასების პოლიტიკური შეგნებისა და კულტურის დონეც. აუცილებელია გვესმოდეს და გვახსოვდეს ეს. კი არ ვიგონებდეთ აბსტრაქტულად დემოკრატიის განვითარების შემდგომ გზებსა და ფორმებს, არამედ ვხელმძღვანელობდეთ ცხოვრებით და ნიადაგ ვიფართოებდეთ მშრომელთა მონაწილეობას წარმოების, მთელი საზოგადოების საქმეთა მართვაში.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში ჩვენი ქვეყნის ყოველ მშრომელს უფლებათა უფართოესი, ყველაზე მრავალფეროვანი სპექტრი აქვს. მაგრამ უფლებები უმოვალეობებად არ არსებობს. რაც უფრო ღრმად შევიგნებთ ამ ორგანულ ურთიერკავშირს, მით უფრო პასუხისმგებლურად მივუდგებთ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას, მით უფრო შინაარსიანი და მდიდარი ხდება სოციალისტური სახალხო ხელისუფლება.

კრებულს უდავოდ გასდევს წითელ ზოლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შემდგომი ზრდის, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების თემა. ეს პროცესები კანონზომიერი ხასიათისაა. როცა ჩვენ ვამბობთ: „ხალხი და პარტია ერთიანნი არიანო!“ —ამით ჩვენ ვადასტურებთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ პარტიის წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები ზუსტად გამოხატავენ ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. და მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი თავისი საქმეებით ამორიეელებს პარტიის პოლიტიკას.

ამ პოლიტიკის დედაარსს, დამაჯერებლად არის ნაჩვენები წიგნში, ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს ზრუნვა საბჭოთის ძლიერების ზრდისათვის სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განსაკუთრებით რელეფურად მოჩანს მისი წარმატებების ისტორიული მასშტაბი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ისტორიულ მიჯნაზე ლენინურად ანალიზებს თავის პოლიტიკას, აზუსტებს მას, სახავს დროების სულისკვეთების და რეალური შესაძლებლობების შესაბამის ამოცანებს. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს წიგნში შესული მოხსენება „სსრ კავშირის სამოცი წელი“. არსებითად, საქმე ეხება თანამედროვე ეტაპზე ერთიანი ურთიერთობის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირეულ პრინციპებს. წიგნში წარმოჩენილია ამ პოლიტიკის ძირითადი ნიშნები, ნაჩვენებია, რომ თანამედროვე საწარმოო ძალები ინტეგრაციას მოითხოვენ მაშინაც კი, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ქვეყანას, მით უმეტეს — ერთ ქვეყანას. ყოველი რესპუბლიკის ბუნებრივი და შრომითი რესურსებს, კლიმატური თავისებურებებს ყველაზე ეკონომიური გამოყენება, ამ პოტენციალის განსაკუთრებით რაციონალური ჩაბმა საერთო-საკავშიროში — აი, რას მოაქვს უმეტესი სარგებლობა ყოველი რეგიონისათვის, თითოეული ერისა და ეროვნებისათვის, ისევე როგორც მთელი სახელმწიფოსათვის (იხ. გვ. 9-10).

სოციალისტური ერების თანამოქმედება საბჭოთა ხალხის არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი სიმდიდრის წყაროც არის. პარტია ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ვეძებდეთ მუშაობის ახლებურ, დღევანდელ მოთხოვნების შესაბამის მეთოდებსა და ფორმებს, რომლებიც კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდიდა კულტურების ურთიერთგამდიდრებას. კრებულში ფართოდ არის გაშუქებული ზოგიერთი მეთოდოლოგიური მიდგომა ეროვნული თვითმეფენის ზრდის პროცესისადმი. აღნიშნულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება უაღრესად გულისხმიერ დამოკიდებულებას ენის, წარსულის ძეგლებისადმი, ისტორიული მოვლენების განმარტების, სოფლებისა და ქალაქების, ცხოვრებისა და შრომის პირობების თანამედროვე გარდაქმნისადმი. ამასთან საგანგებოდ არის აღნიშნული ის ფუნდამენტური ფაქტი, რომ დღეს პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამტარებლები სულ უფრო მეტად ხდებიან პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ჩვენი ადგილობრივი კადრები.

გასაგები მიზეზებისა გამო, მკითხველება განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლიან მასალებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობას ეძღვნება. ჩვენი პარტიის პოლიტიკა კლასობრივი პოლიტიკაა თავისი პრინციპებითაც და თავისი მიზნებითაც (იხ. გვ. 131). მისი კლასობრივი ხასიათი მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის უმთავრესი მიმართულებით — მუდმივი ზრუნვით სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე დამყარებული მომქმედ სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის და ძეკავშირების განმტკიცებისათვის. ეს ხასიათი განსაზღვრავს ჩვენს თანამიმდევრულს და ქმედითს სოლიდარობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოებთან, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან.

ამავე დროს ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის მიზანი უცვლელია — ვიღვაწოთ, რათა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა შეჯიბრება იყოს ნამდვილად მშვიდობიანი, სამხედრო მეტოქეობისაგან თავისუფალი და ატარებდეს კონსტრუქციულ და არა დამანგრეველ ხასიათს. ასეთი მიდგომა შეესაბამება როგორც საბჭოთა ხალხის, ისე ყველა ქვეყნის მშრომელთა ყველაზე ღრმა, ყველაზე ძირეულ ინტერესებს: „იმისათვის, რომ ხალხმა შეძლოს გადაწყვიტოს თავისი ეროვნული და სოციალური ამოცანები, — აღნიშნავს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, — მან უწინარეს ყოვლისა უნდა იზრუნოს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის“ (გვ. 57). კრებულის მასალები ამომწურავად გამოხატავენ ჩვენს პრინციპულ პოზიციას: მშვიდობას, საერთაშორისო უშიშროებას ვერ განვამტკიცებთ სამხედრო მეტოქეობის პირობებში. ჩვენ ვესწრაფვით საერთაშორისო ურთიერთობის ძირეულ გაჯანსაღებას, ამ ურთიერთობის ყველა კეთილი საწყისის დამკვიდრებასა და განვითარებას.

იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მიზნით შექმნილი საერთაშორისო ვითარების დაუფარავი მიჩნევა მთელი კაცობრიობისათვის უაღრესად საშიშ ვითარებად არ ეწინააღმდეგება ჩვენს ოპტიმისტურ რწმენას, რომ შესაძლებელია ამ საფრთხის თავიდან აცილება, პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელი სირთულის მიუხედავად, იგი სულაც არ არის უიმედო, რომ სოციალისტური სახელმწიფოების ძლიერებას, მთელი პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების მიერ ჩვენი ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას, მტკიცე მუშაობას მშვიდობის დასამკვიდრებლად შეუძლია აღგვაკვეთინოს ომის საფრთხე. „ჩვენ მტკიცედ გვწამს, — აღნიშნავს ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, — რომ სოციალიზმი საბოლოო ანგარიშით დაამტკიცებს თავის უპირატესობას სწორედ კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების პირობებში. და ჩვენ სულაც არა ვართ მომხრენი სამხედრო დარგში შეჯიბრებისა, რასაც თავს გვახვევს იმპერიალიზმი“ (გვ. 298). ამ პოზიციას იზიარებს მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი.

* * *

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის რჩეული სიტყვებისა და სტატიების კრებული გვაძლევს თანამედროვე ცხოვრების იმ ყველაზე მწვავე საკითხთა ფართო სპექტრის თანამიმდევრულ მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, მილიონობით ადამიანს რომ აღელვებს. აქტუალური საკითხების ზუსტი დაყენება, ნათელი დასკვნები, დამაჯერებელი არგუმენტაცია გვესახავენ პარტიისა და ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის უფართოეს პანორამას, წარმართავენ პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს ჩვენი ხალხის ცხოვრებისათვის განსაკუთრებით აქტიურ ბრძოლაში.

„პრავდა“,

1983 წლის 15 ივლისი.

ულიანოვსკში „თბილისის“ ბავშვთა სექციაში მომზმარებელმა დასლიდან გოგონას ზოლიანი წითელი კაბა გადმოიღო. — აშკარად ეტყობოდა, საქონლის ხარისხით კმაყოფილი იყო, იარლიყს დახედა, სახეზე განცვიფრება გამოეხატა. მოლარე კონტროლიორთან რომ მივიდა, დასძინა: მართალი გითხრათ, არ მოველოდი, რომ თბილისური იქნებოდა. გთხოვთ გამომიწეროთ, მშვენიერია! ამ კაბით ჩემს პატარა შვილიშვილს გავახარებ, ასეთ [illegible] საქონელზე უარს ვინ იტყვისო. შემდეგ შევიტყვე, ეს მანდილოსანი ზუგდიდელი სტუმარი ყოფილა.

ეს დიალოგი ამ დღეებში მოვისმინე. ჩვენ თვალწინ თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის ამგვარი და კიდევ სხვა ნაწარმი სწრაფად საღდებოდა. უნებლიეთ შარშანდელი წელი და სხვა დროც გამახსენდა, როდესაც დახლზე უამრავი ჩაწოლილი საქონელი ეწყო. აი, რა თქვა უნივერმაღის სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილემ გ. მაზარაძემ.

— ჩვენს კოლექტივს საბავშვო ტრიკოტაჟის მწარმოებლების მიმართ, განსაკუთრებით კი წლეულს, სასაყვედურო არაფერი აქვს. მაღაზიაში შემოსული ნაწარმი მრავალრიცხოვანია, და რაც მნიშვნელოვანია, მომხმარებლის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს შეესაბამება. ცხადია, კარგ საქონელზე მომხმარებელი უარს არ ამბობს, ამიტომ პროდუქცია დახლზე არ ჩერდება, იგი მალე იყიდება.

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკას ვეუბეიეთ. საწარმოს მოდელების ლაბორატორიაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გემოვნებით შეკერილმა სარაფებმა, ჟაკეტებმა, ჯემპრებმა, სპორტულმა კომბლეზონებმა ბიუნუნებისათვის და სხვა მრავალმა, პროდუქცია უზადოდ იყო შესრულებული. ზოგჯერ ასეა, ლაბორატორიაში მართლაც საუცხოო ნაწარმს წააწყდები, საამქროში კი, სადაც ამ ასორტიმენტის ტანსაცმლის მასობრივი კერვა მიმდინარეობს, სულ სხვა სურათი გადაგეშლება. სამწუხაროდ, ასეა ხოლმე, მაგრამ აქ აშკარად იგრძნობა კოლექტივის მისწრაფება მშობლიური საწარმოს მარკის ღირსებისადმი.

ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ლევან კოჩიევმა მოკლედ გვიამბო, თუ რა გზით შეძლეს მეტრიკოტაჟეებმა მომხმარებლის გულის მოგება. ყოველივე ამაში ტექნიკური პროგრესი დაგვეხმარაო. საბავშვო ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლების საქმეში,—განაგრძო მან, — დიდი როლი შეასრულა საქსოვი წარმოების ტექნიკურმა განახლებამ. შარშან წლის ბოლომდე ფაბრიკაში როგორც სამამულო, ისე უცხოური წარმოების 800 ათასი ბანეთის ახალი მანქანა-დანადგარები დავამონტაჟეთ. გადავაკეთეთ აგრეთვე რამდენიმე წინდის საქსოვი მანქანა. ასე რომ შევძელით მძლავრი საქსოვი პარკი.

წლევანდელი წელი საწარმოს კოლექტივისათვის, განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი და შედეგიანი, რომ საწარმოში ასორტიმენტის განახლებამ 80 პროცენტი შეადგინა. ახალი ტიპის მანქანა-დანადგარების დამონტაჟებამ შესაძლებელი გახადა მხატვარ-მემოდელეებს ნაირფერი ქსოვილები მიეღოთ. სამკერვალო პროცესების სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი გვირისტების, დახვეწილი ნაკერების და ეგრეთ წოდებული გამაკეთილშობილებელი ხაზების შემოღებას.

ფაბრიკაში რეგულარულად ეწყობა „ხარისხის დღე“. ამ დღეს აქ იხილავენ რეკლამაციის მიზეზებს, ეცნობიან მოქალაქეთა წინადადებებს, სავაჭრო ობიექტებიდან შემოსულ მოთხოვნებს და შემდეგ ყოველივე ამას ითვალისწინებენ მომავალ მუშაობაში.

ლ. ქინქლაძე.

სურათზე: თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკაში დამზადებული ნაწარმი მოსწონთ პატარებს. უნივერმაღ „თბილისში“ მომხმარებლებს ემსახურება ბავშვთა ტრიკოტაჟის სექციის გამოყოფილი ახმეთ წიკლაური. (მარცხნივ).

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

გთხოვთ გამომიწეროთ, მშვენიერია!

სწრაფად საღდებოდა. უნებლიეთ შარშანდელი წელი და სხვა დროც გამახსენდა, როდესაც დახლზე უამრავი ჩაწოლილი საქონელი ეწყო. აი, რა თქვა უნივერმაღის სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილემ გ. მაზარაძემ.

— ჩვენს კოლექტივს საბავშვო ტრიკოტაჟის მწარმოებლების მიმართ, განსაკუთრებით კი წლეულს, სასაყვედურო არაფერი აქვს. მაღაზიაში შემოსული ნაწარმი მრავალრიცხოვანია, და რაც მნიშვნელოვანია, მომხმარებლის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს შეესაბამება. ცხადია, კარგ საქონელზე მომხმარებელი უარს არ ამბობს, ამიტომ პროდუქცია დახლზე არ ჩერდება, იგი მალე იყიდება.

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკას ვეუბეიეთ. საწარმოს მოდელების ლაბორატორიაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო გემოვნებით შეკერილმა სარაფებმა, ჟაკეტებმა, ჯემპრებმა, სპორტულმა კომბლეზონებმა ბიუნუნებისათვის და სხვა მრავალმა, პროდუქცია უზადოდ იყო შესრულებული. ზოგჯერ ასეა, ლაბორატორიაში მართლაც საუცხოო ნაწარმს წააწყდები, საამქროში კი, სადაც ამ ასორტიმენტის ტანსაცმლის მასობრივი კერვა მიმდინარეობს, სულ სხვა სურათი გადაგეშლება. სამწუხაროდ, ასეა ხოლმე, მაგრამ აქ აშკარად იგრძნობა კოლექტივის მისწრაფება მშობლიური საწარმოს მარკის ღირსებისადმი.

ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ლევან კოჩიევმა მოკლედ გვიამბო, თუ რა გზით შეძლეს მეტრიკოტაჟეებმა მომხმარებლის გულის მოგება. ყოველივე ამაში ტექნიკური პროგრესი დაგვეხმარაო. საბავშვო ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლების საქმეში,—განაგრძო მან, — დიდი როლი შეასრულა საქსოვი წარმოების ტექნიკურმა განახლებამ. შარშან წლის ბოლომდე ფაბრიკაში როგორც სამამულო, ისე უცხოური წარმოების 800 ათასი ბანეთის ახალი მანქანა-დანადგარები დავამონტაჟეთ. გადავაკეთეთ აგრეთვე რამდენიმე წინდის საქსოვი მანქანა. ასე რომ შევძელით მძლავრი საქსოვი პარკი.

წლევანდელი წელი საწარმოს კოლექტივისათვის, განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი და შედეგიანი, რომ საწარმოში ასორტიმენტის განახლებამ 80 პროცენტი შეადგინა. ახალი ტიპის მანქანა-დანადგარების დამონტაჟებამ შესაძლებელი გახადა მხატვარ-მემოდელეებს ნაირფერი ქსოვილები მიეღოთ. სამკერვალო პროცესების სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი გვირისტების, დახვეწილი ნაკერების და

16 ივლისი

ეკონომია

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუფყეგბა

● აშშ

მხარს უჭერენ საპროტესტო დემონსტრაციას

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქის ნიუ-იორკის პროფკავშირული და ზანგთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ რეიგანის ადმინისტრაციის ანტიხალხური მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო დემონსტრაციას, რომელიც 27 აგვისტოს ვაშინგტონში უნდა გაიმართოს.

აქ მოწყობილ პრესკონფერენციაზე მათ ხაზი გაუსვეს, რომ ეს მანიფესტაცია, რომელიც გაიმართება „სამუშაო, მშვიდობა და თავისუფლება!“, ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის რეიგანის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამაჩანაგებელ შედეგებს, იმ სიფრთხეს, რომელსაც მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას უქმნის მის მიერ განხორციელებული მილიტარისტული კურსი. ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ზანგთა გავლენიანი ორგანიზაციის — სამხრეთში ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის პრეზიდენტმა ჯ. ლაუერიმ განაცხადა, რომ ახლა უმუშევრობისგან იტანჯება ათობით მილიონი ადამიანი.

პლენარულ სხდომებზე

ჟენევა. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ჟენევა. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა, რომლითაც დასრულდა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების მიმდინარე რაუნდი.

დათქმულია, რომ მოლაპარაკება 6 სექტემბრიდან გაგრძელდება.

მდგომარეობა ნიკარაგუაში

აგრესიის მეორე ეტაპი

მანაგუა. ჰონდურასის მხედრობამ და კონტრრევოლუციურმა დაჯგუფებებმა, რომლებსაც მხარს უჭერს შეერთებული შტატები, დაიწყო ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის მეორე ეტაპი. უკანასკნელი სამი დღის მანძილზე რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ორჯერ ჩაებნენ ბრძოლაში ბანდიტურ ქვეგანაყოფებთან, რომლებიც სელაის დეპარტამენტის ცენტრალურ რაიონში შემოიჭრნენ. სახდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს სომოსელ კაცისმკლელებზე ადინარე რიო-გრანდესთან და თავს მოახვიეს ბრძოლა.

12 ივლისს ამ ზონაში კვლავ მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის დროს სომოსელებმა დაკარგეს ექვსი კაცი და უკან დაიხიეს დაპყრობილი პოზიციებიდან. სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა დაიწყეს ბანდის დევნის ოპერაცია.

სულ უფრო ეძაბება ვითარება ნიკარაგუა-ჰონდურასის საზღვარზე. როგორც გაზეთი „ბარიკადა“ წერს, ჰონდურასის მხედრიონმა სასაზღვრო დასახლებულ პუნქტში სიფუენტესში თავი მოუყარა 2 ათასზე მეტ ჯარისკაცს. იქ მიიყვანეს ტანკები და არტილერია. არსებული მონაცემებით, ჰონდურასში გამალებით წარმოებს მზადება არმიაში მასობრივი მობილიზაციისათვის. უკვე შეადგინეს 18-დან 48 წლამდე პირთა სიები, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება დაიყენონ თოფქვეშ. ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებისათვის ჰონდურასის ხელისუფლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს დამატებით 14 მილიონი დოლარი მოსთხოვეს. ისინი აგრეთვე ვაშინგტონისაგან მოითხოვენ ვერტმფრინავებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის მიწოდებას.

სავსებით ცხადია, წერს „ბარიკადა“, რომ ჰონდურასი ემზადება ნიკარაგუის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაჩაღებისათვის. გაზეთს მოჰყავს სიფუენტესის სამხედრო ზონის სარდლის პაბლო რახეალოს გამონათქვამები, რომელმაც დაუფარავად განაცხადა, რომ ჰონდურასის არმია ომის მდგომარეობაშია და აპირებს თავს დაესხას ნიკარაგუას.

ფოტოფაქტი

როგორც რადიოსადგური „ნიკარაგუის ხმა“ იუწყება, ჰონდურასის ტერიტორიიდან კონტრრევოლუციონერთა დიდი ჯგუფები სისტემატიურად ესხმიან თავს ნიკარაგუის საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებს.

სურათზე: ნიკარაგუელი ბავშვები კონტრრევოლუციონერთა ტყვიას ემალებიან.

პრენსა ლატინა-საკლესიის ფოტო.

● საბერძნეთ-აშშ

მოლაპარაკების მორიგი ტური

ათენი. აქ დაიწყო საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის საზღვაო ბაზების მომავლის საკითხზე საბერძნეთ-ამერიკის მოლაპარაკების მორიგი ტური. საბერძნეთის დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. კაფსისი, ამერიკის დელეგაციას — სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი რ. ბარტოლომიუ.

ამ პრობლემის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო მარწან-27 ოქტომბერს და მეტად დაძაბული ხასიათი აქვს. ერთი თვის წინათ იგი კვლავ შეწყდა ამერიკის შეურიგებელი პოზიციის გამო, რომელსაც არ სურს დაუთმოს საბერძნეთის ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებში, და შეერთებული შტატების წარმომადგენელი „საკონსულტაციოდ“ ვაშინგტონში დაბრუნდა.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც შვიდი წლის წინათ ამოიწურა ამერიკელების მიერ საბერძნეთის ბაზების გამოყენების თაობაზე საბერძნეთ-ამერიკის 1953 წლის შეთანხმების ვადა, შეერთებული შტატების 4 მსხვილი სამხედრო ბაზა და 16 მეორეხარისხოვანი ობიექტი დროებით საწყისებზე მოქმედებს. ითვალისწინებენ რა ამ ბაზების სტრატეგიულ მნიშვნელობას, ვაშინგტონი და ნატოს მესვეურები ზემოქმედებას ახდენენ საბერძნეთის მთავრობაზე, რათა თავიანთი სამხედრო ობიექტები რაც შეიძლება მეტი ხნით შეინარჩუნონ ამერიკისათვის ხელსაყრელ პირობებში.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს ა. პაპანდრეუს მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ წინანდელ შეთანხმების საბერძნეთთან სამხედრო ბაზების თაობაზე აშკარად ნეოკოლონიალისტური ხასიათი ჰქონდა და არ შეესაბამებოდა ბერძენი ხალხის ინტერესებს. ამიტომ საბერძნეთის დელეგაცია მოლაპარაკებაზე მოითხოვს დააწესონ მომავალში საბერძნეთის ტერიტორიიდან ამერიკის სამხედრო ობიექტების გატანისა და სამხედრო პერსონალის ევაკუაციის ზუსტი გრაფიკი.

● აშშ

კვლავ ბაზრის ფასების შესახებ

გამოხმაურებათა მიმოხილვა კორესპონდენციაზე „ვინ უკარნახებს ბაზარს ფასებს“

მკითხველები ფართოდ გამოეხმაურნენ „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკასა“ და „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ საქინფორმის კორესპონდენციას „ვინ უკარნახებს ბაზარს ფასებს“. გაზეთების რედაქციებმა, საინფორმაციო სააგენტომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა მიიღო ათასზე მეტი წერილი, გამოხმაურება ამ მასალის გამო. იმათ შორის, ვინც სტატიას გამოეხმაურა, არიან მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, დისახლისები. ჩვენ გვწერენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დამსახურებული მუშაკები. გამოხმაურებანი მივიღეთ რესპუბლიკის ორმოცდასამი ქალაქიდან და რაიონიდან.

უწონარეს ყოველისა გესაუბრებით იმაზე, თუ როგორ შეაფასეს შრომელებმა თვით ამ მასალის გამოქვეყნების ფაქტი და ამ მასალაზე ვაჭრობის ყოფილი მინისტრის გ. ქობალიანიძის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. შავიშვილის, ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის თ. ჯაბადარის, შინაგან საქმეთა მინისტრის შოადგილის შ. გორგოძის კომენტარები.

წერილების ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმება აღნიშნული მასალის გამოქვეყნებას და ამ მწვავე პრობლემის სწორ განხილვას. ავტორთა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხი (4,2 პროცენტი) განწყობილია სკეპტიკურად ანდა ფიქრობს, რომ შეუძლებელია საკოლმეურნეო ბაზრებში შექმნილი მდგომარეობის მართვა და გამოსწორება.

საერთო უკმაყოფილება გამოიწვია ვაჭრობის სამინისტროს, ხილბოსტნეულის სამინისტროს, ცეკავშირის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხმა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. მკითხველთა 60 პროცენტზე მეტს მათს პასუხში მოცემული კომენტარები უსაფუძვლოდ და ზერელედ მიაჩნია, მხოლოდ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის კ. შავიშვილის პასუხმა ზოგიერთ წერილში დაიმსახურა მოწონება იმ ფაქტის გულახდილი აღიარებისათვის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა ჯერჯერობით მზად არ არის კონკურენცია გაუწიოს საკოლმეურნეო ბაზარს.

მკითხველებისათვის ნათელია ბაზრებში ფასების ზრდის ისეთი ობიექტური მიზეზები, როგორიც არის ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის ნაკლებობა, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ზოგიერთი საქონლის საცალო ფასების მომატება. მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს, ამბობენ წერილების ავტორები, არ არის საკოლმეურნეო ბაზრებში ფასების ზრდის ძირითადი მიზეზები. მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბაზრებში ფასების ზრდას განსაზღვრავს, ძირითადად, სუბიექტური მიზეზები, რომლებიც განპირობებულია წარმოებისა და ვაჭრობის სხვადასხვა რგოლის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებით.

მკითხველთა მესამედი, რომლებმაც გამოხმაურებანი გამოგზავნეს, დეტალურად შეეხო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებს. ამ გამოხმაურებებში იჩრქნობა მკითხველთა მტკიცე აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს შინაგანი ურთიერთკავშირი ბაზრებში არსებულ მაღალ ფასებსა და ზნეობრივ-ეთიკური ხასიათის ფაქტორებს შორის. ყურადღებას იპყრობს ასეთი გარემოებაც: ბაზრის ფასები იმათ აღშფოთებასაც იწვევს, ვინც თვითონ ვაჭრობს საკოლმეურნეო ბაზრებში. მოვაჭრეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს, რომ ისინი პროდუქციის ნამეტს ყიდიან ძალიან ძვირად და ასახელებენ მთელ რიგ ჟიზეზებს, რომლებიც მათ ამას აიძულებს. უწინარეს ყოვლისა, ისინი ჩივიან, რომ არა აქვთ საშუალება თავიანთი პროდუქცია გაასაღონ ადგილზე, სოფლად, კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ან კოოპერაციული შესყიდვის გზით. სოფლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ამჟამად არსებული ფორმები არ აკმაყოფილებს მის მწარმოებლებს. დადგენილი წესების უხეში დარღვევის, ზომა-წონაში მოტყუების გამო კოლმეურნეები უნდობლობას უცხადებენ ამ სისტემას და მიაჩნიათ, რომ კოოპერაციული ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი, სარგებლობს რა თავისი მდგომარეობით, მდიდრდება მათ ხარჯზე საშენი მასალებისა და სხვა დეფიციტური საქონლის გაყიდვით.

„პირდაპირ გვძარცვავენ“. — ასე განაცხადა ერთი წერილის ავტორმა.

ასე იკვეთება ერთი იმათგანის სახე, ვინც ბაზარს უკარნახებს ფასებს. ეს არის რომელიღაც საშენებლო ბაზაში მოკალათებული საქმოსანი. ერთი მხრივ, მას შეუძლია შეუფავრებლად ნებისმიერი ფასი გადაიხადოს მისთვის საჭირო პროდუქტისათვის და ამით გაბეროს ფასები ბაზარში. მეორე მხრივ — იგი მის ბაზაში მისულ კოლმეურნეს ძარცვავს, აიძულებს მას გაწეული ხარჯების ასახვიანურებლად ბაზარში თავის პროდუქციას დადოს მეტად მაღალი ფასი. ამის შედეგად ეს ორი მხარე ინაზღაურებს ზარალს, მაგრამ პატიოსანი მშრომელების ხარჯზე, რომელთა ერთადერთი შემოსავლის წყარო ხელფასია.

თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებები არ ფარავენ თავიანთ აღშფოთებას ხილბოსტანეაჭრობის სუსტი მუშაობის გამო. მათ მიაჩნიათ, რომ ხილბოსტანეაჭრობა არათუ არ უწევს კონკურენციას ბაზარს, პირიქით, თვითონ უწყობს ხელს საბაზრო ფასების ზრდას.

ბევრი მკითხველი აკრიტიკებს მინისტრის ამბ. თ. ჯაბადარის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ხილბოსტანეაჭრობის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი ზმირად ბაზრის პროდუქციაზე ნაკლები როდია, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წლევანდელი მარაგი შესაძლებელს გახდის არა მარტო მოაწესრიგონ, არამედ „საკოლმეურნეო ბაზრებს უკარნახონ კიდეც ამ პროდუქტების ფასები“. მკითხველები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ხილისა და ბოსტნეულის წარმოება იზრდება. მაგრამ ისინი იმასაც ხედავენ, რომ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუდევარი შენახვის გამო ფუჭდება, კარგი პროდუქტები რაღაც ბნელი გზით ხვდება საკოლმეურნეო ბაზრებში მოკალათებულ სპეკულანტთა ხელში. თუ ნათქვამს დავუმატებთ თვით ხილბოსტანეაჭრობის მუშაობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებსაც, — ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუებას, მყიდველისათვის საჭირო ხილისა და ბოსტნეულის ხშირ უქონლობას, გასაყიდად გამოტანილი პროდუქტების არასაქონლურ სახეს, გასაგები გახდება, რატომ ურჩევნია მყიდველს ხილ-ბოსტანეაჭრობის მაღაზიის ნაცვლად მიაკითხოს საკოლმეურნეო ბაზარს.

„როგორ ეხერხებს გლეხი თავის საკარმიდამო ნაკვეთში უფრო უხვი მოსავლის მოწევას, ვიდრე ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები იწევენ?“ — გვეკითხება ზოგიერთი კითხველი. „კოლმეურნე არ უნდა ვაჭრობდეს ბაზარში, — წერენ სხვები. — მას არც სურს იქ ყოფნა, — ამტკიცებენ ისინი, — მაგრამ გარემოება აიძულებს დადგეს ბაზრის დახლთან“.

ბევრი საყვედური გამოითქვა კოოპერაციული ვაჭრობის მისამართით. „ფასწარმოქმნის პრაქტიკით, — ეხმაურება ერთ-ერთი მკითხველები, — ცეკავშირი თავად უწყობს ხელს ფასების ზრდას ბაზრებში. არის შემთხვევები, რომ ცალკეული საქონლის ფასი ცეკავშირის მაღაზიებში უფრო მაღალია, ვიდრე საკოლმეურნეო ბაზარში“.

ჩვენი მკითხველები ერთსულოვანი არიან იმ პრობლემების

კვლავ ბაზრის ფასების შესახებ

გამოხმაურებათა მიმოხილვა კორესპონდენციაზე „ვინ უკარნახებს ბაზარს ფასებს“

მშენებლო ბაზაში მოკალათებული საქმოსანი. ერთი მხრივ, მას შეუძლია შეუფავრებლად ნებისმიერი ფასი გადაიხადოს მისთვის საჭირო პროდუქტისათვის და ამით გაბეროს ფასები ბაზარში. მეორე მხრივ — იგი მის ბაზაში მისულ კოლმეურნეს ძარცვავს, აიძულებს მას გაწეული ხარჯების ასახვიანურებლად ბაზარში თავის პროდუქციას დადოს მეტად მაღალი ფასი. ამის შედეგად ეს ორი მხარე ინაზღაურებს ზარალს, მაგრამ პატიოსანი მშრომელების ხარჯზე, რომელთა ერთადერთი შემოსავლის წყარო ხელფასია.

თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებები არ ფარავენ თავიანთ აღშფოთებას ხილბოსტანეაჭრობის სუსტი მუშაობის გამო. მათ მიაჩნიათ, რომ ხილბოსტანეაჭრობა არათუ არ უწევს კონკურენციას ბაზარს, პირიქით, თვითონ უწყობს ხელს საბაზრო ფასების ზრდას.

ბევრი მკითხველი აკრიტიკებს მინისტრის ამბ. თ. ჯაბადარის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ხილბოსტანეაჭრობის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი ზმირად ბაზრის პროდუქციაზე ნაკლები როდია, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წლევანდელი მარაგი შესაძლებელს გახდის არა მარტო მოაწესრიგონ, არამედ „საკოლმეურნეო ბაზრებს უკარნახონ კიდეც ამ პროდუქტების ფასები“. მკითხველები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ხილისა და ბოსტნეულის წარმოება იზრდება. მაგრამ ისინი იმასაც ხედავენ, რომ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუდევარი შენახვის გამო ფუჭდება, კარგი პროდუქტები რაღაც ბნელი გზით ხვდება საკოლმეურნეო ბაზრებში მოკალათებულ სპეკულანტთა ხელში. თუ ნათქვამს დავუმატებთ თვით ხილბოსტანეაჭრობის მუშაობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებსაც, — ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუებას, მყიდველისათვის საჭირო ხილისა და ბოსტნეულის ხშირ უქონლობას, გასაყიდად გამოტანილი პროდუქტების არასაქონლურ სახეს, გასაგები გახდება, რატომ ურჩევნია მყიდველს ხილ-ბოსტანეაჭრობის მაღაზიის ნაცვლად მიაკითხოს საკოლმეურნეო ბაზარს.

„როგორ ეხერხებს გლეხი თავის საკარმიდამო ნაკვეთში უფრო უხვი მოსავლის მოწევას, ვიდრე ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები იწევენ?“ — გვეკითხება ზოგიერთი კითხველი. „კოლმეურნე არ უნდა ვაჭრობდეს ბაზარში, — წერენ სხვები. — მას არც სურს იქ ყოფნა, — ამტკიცებენ ისინი, — მაგრამ გარემოება აიძულებს დადგეს ბაზრის დახლთან“.

ბევრი საყვედური გამოითქვა კოოპერაციული ვაჭრობის მისამართით. „ფასწარმოქმნის პრაქტიკით, — ეხმაურებიან ერთ-ერთ მკითხველები, — ცეკავშირი თავად უწყობს ხელს ფასების ზრდას ბაზრებში. არის შემთხვევები, რომ ცალკეული საქონლის ფასი ცეკავშირის მაღაზიებში უფრო მაღალია, ვიდრე საკოლმეურნეო ბაზარში“.

ჩვენი მკითხველები ერთსულოვანი არიან იმ პრობლემების

...

...

...

ძეგლი ვნისა სწორია

რომ წარსული გაგვიცოცხლონ

ახლა ის დროა, როდესაც არქეოლოგები და ძეგლთა რესტავრატორები დიდი ენერგიით მუშაობენ, მართვენ ახალ-ახალ ხარაჩოებს.

ჩვენც გადავწყვიტეთ მკითხველები ეროვნული ძეგლების დაცველებსა და რესტავრატორებს, ისტორიულ საუნჯეთა მეცხოვნეებს შევახვედროთ. თუმცა ერთიც არის — გასული ზამთარი მათთვის სულაც არ ყოფილა „მკვდარი სეზონი“. შარშან დაიწყო და ზამთარშიც არ შემწყვეტია ფუსფუსი თბილისის აეროპორტის მახლობლად მდგარ ხარაჩოებზე. მართალია, აქ ჩვენი საუკეთესოთვის ესოდენ დამახასიათებელი მშენებლობაა — ქარხანას აგებენ, მაგრამ იგი პირდაპირ არის დაკავშირებული კულტურისა და ისტორიული ძეგლების ხვალინდელ დღესთან.

ეს ქარხანა, რომელიც წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამშენებლო ბაზა იქნება. აქ დამზადდება ძეგლთა აღდგენისათვის საჭირო ხის, ლითონის მასალები. გარდა ამისა, სამმართველომ თავისი თაოსნობით ქსანში აღადგინა ძველი, გაუქმებული აგურის ქარხანა, რომელმაც შარშან გამოუშვა პირველი პროდუქცია — მაღალხარისხოვანი ქართული კრამიტი და აგური, — ესოდენ საჭირო ძეგლთა განახლებისათვის. სამომავლოდ გათვალისწინებულია ამ ქარხნის შემდგომი გაფართოება, რათა აღდგენა-რესტავრაციის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდეს.

— რესტავრაციის დროს უმთავრეს ყურადღებას ფრესკებით მოხატული ძეგლების მოვლა-აღდგენას ვუთმობთ, — ამბობს სამმართველოს უფროსი **ირაკლი ციციშვილი,** — რადგან მხატვრობის გადარჩენა ყველაზე უფრო საშურია. რესტავრაციის დიაპაზონი საგულისხმოდ გაფართოვდა. შარტო ეკლესია-მონასტრებს კი არ აღვადგენთ, არამედ ციხეებს, სასახლეებს, ხიდებს, საცხოვრებელ სახლებს. დავიწყეთ არქეოლოგიური ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციაც. მაგალითად, ძალისში აღმოჩენილი მეორე საუკუნის მოზაიკა სპეციალური მაღალხარისხოვანი ნაგებობით გადაიხურა. ამრიგად, კიდევ ერთი ახალი ტურისტული ობიექტი შეგქმნით. არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაცია ახლა ვანში და ნოქალაქევში მიმდინარეობს.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ძეგლებს, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან, ან მდგმარეობს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ საქართველოს სამხედრო გზაზე. შარშან ამ გზის ორივე მხარეს მდებარე 37 ძეგლი განახლდა. საიუბილეოდ განზრახულია ერეკლე ბატონის ციხიც ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი არქიტექტურის, ბუნების და კულტურის ძეგლები, აგრეთვე რუკების შედგენა რაიონების მიხედვით.

მაგრამ აღრიცხვასაც და რეკონსტრუქცია-აღდგენასაც თავისთავად სათანადო ფულადი სახსრები სჭირდება. რესპუბლიკის ტერატორიაზე დღემდე გამოვლენილი კულტურისა და ბუნების ძეგლთა (მათი რაოდენობა 25 ათასს აღწევს) დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია და მეთერმეტე ხუთწლედში მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი „ობიექტები“ უნდა აღდგეს. საქართველომ შარშან 75 ასეთი ძეგლი დააყენა ფეხზე, რასაც 2 მილიონ 920 ათასი მანეთი მოხმარდა. წლეულს რესტავრატორები ნახევარი მილიონი მანეთითი მეტი ღირებულების სამუშაოებს შეასრულებენ, ხოლო ორი წლის შემდეგ პერსპექტივით გათვალისწინებულია ამ თანხის 5 მილიონ მანეთამდე გაზრდა.

— ჩვენს უულობას, — ამბობს ი. ციციშვილი, — საგრძნობლად ავსებს ძეგლთა დაცვის საზოგადოება, კარგი შემოსავალი აქვს ლატარიას, სასუვენირო წარმოებას; ეს უკანასკნელი 3 წელია არსებობს, ამჟამად ეს წარმოება მნიშვნელოვნად გავაფართოეთ, რაც სამომავლოდ უფრო მეტ შემოსავალს მოგვცემს. გარდა ამისა, აეროპორტთან ახლოს, იქ, სადაც ჩვენი სამშენებლო ბაზა შენდება, აიგება ქართული ფარდაგებისა და ხალიჩების საწარმო, რომლის შემოსავალი მთლიანად ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციას მოხმარდება.

ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან ერთად დიდ პროპაგანდას ეწევა. ძეგლთა დაცვა-აღდგენისადმი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მისაქცევად პრესაში სისტემატიურად იბეჭდება წერილები ძეგლთა თაობაზე, საინტერესო გადაცემები ეწყობა ტელევიზიით. ამ პროპაგანდას ის შედეგი მოჰყვა, რომ დღეს 1000-მდე ორგანიზაცია შეფობს ძეგლებს. ეს ძალიან დიდ შეღავათს იძლევა. მოზალისეთა შორის არიან სტუდენტები, მოსამსახურეები, მეცნიერი მუშაკები. მათი ღვაწლიც არის, რომ დღეს ძეგლთა შენიღვა აღიკვეთა, ახალ „ავტოგრაფებს“ თითქმის ვეღარსად წაიყენებენ.

— აი უკვე მეოთხე წელია, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები შეეხებულის უმეტეს დროს ხერთვისის ციხეში ატარებენ, — გვეუბნება სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორი **რევაზ ხატეკარაშვილი,** — არქიტექტორ-რესტავრატორების ხელმძღვანელობით ისინი დამხმარე სამუშაოებს ასრულებენ, წმენდენ და ასუფთავებენ ტერიტორიას.

ჩვენ უკვე შევადგინეთ იმ ძეგლთა სია, რომელთა რესტავრაციისათვის წლეულს შეფების დახმარება დაგვჭირდება. ამ საშვილიშვილო საქმეში განსაკუთრებით აქტიურობს სტუდენტობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი უკვე დიდ სამზადისშია — ადგენენ და აკომპლექტებენ რაზმებს, რომლებიც შრომითს სემესტრში მხარში ამოგვიდგებიან.

არქიტექტორ-რესტავრატორები უკვე კარგა ხანია ველად გავიდნენ. ისინი მუშაობენ ლამისყანასა და ფინნგორში ორბელიანთა და ერისთავთა სასახლეებში, იგოეთის წმინდა საყდარში, თელავში — ერეკლეს სასახლეში. მალე მლეთის ზემოთ ცეცხლის ჯვრის კოშკს და დარიალის ხეობაში თამარის ციხესაც ეწვევიან, ხარაჩოებში ჩასვამენ იმ ძეგლებს, რომლებიც ეთრგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეესთან დაკავშირებით ხელახლა უნდა გაცოცხლდნენ.

ხარაჩოები მატულობს ჩვენი ისტორიული ძეგლების გარშემო, რათა განახლებული იერით უფრო ამაყად გააცინონ მომავალ თაობებს ჩვენი ერის წარსული.

რ. მუხიგულაშვილი.



კონსტანტინე ჩიქოვანის დაბადების 75 წლისთავი

მეცნიერი, მოქალაქე

წელს მას 75 წელი შეუსრულდებოდა, იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 52 წლისა გამოაკლდა ქართველ მედიკოსთა რიგებს.

კონსტანტინე (ბონდო) ჩიქოვანი დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში. მშობლიურ ზუგდიდში სწავლა სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც 1931 წელს ამთავრებს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი აგზავნის ლენინგრადში ქირურგიული ნევროპათოლოგიის ინსტიტუტში სამუშაოდ. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად ამავე წელს ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში და მუშაობს საბჭოთა მედიცინის მეცნიერების ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ ს. ფიოდოროვი, მ. ასტვაცატუროვი, ა. პოლეონოვი, ა. მოლოტკოვი, ნ. ანიჩკოვი, ბ. დონიკოვი, ს. სპერანსკი და სხვები.

1937 წელს კ. ჩიქოვანი წარმატებით ამთავრებს ასპირანტურას, იცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ქრონიკული სპინალური მენინგიტები“. ამ ნაშრომს თავისი ღირსება და მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგს. შემდეგ იგი თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის ასისტენტად და სპეციალურად მისთვის გამოყოფილი 20-საწოლიანი ნეიროქირურგიული განყოფილების გამგედ.

1939 წელს პროფესორ ა. მაჰავარიანის შუამდგომლობით სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო მას პრივატ-დოცენტის წოდებას ანიჭებს.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე იგი საბჭოთა არმიის რიგებშია. ჯერ არმიის ნეიროქირურგიული ჯგუფის უფროსის, ხოლო შემდეგ სპეციალიზებული ნეიროქირურგიული ჰოსპიტლის წამყვანი ქირურგის მოვალეობას ასრულებს.

ჰოსპიტალში მუშაობის პერიოდში ნათლად გამოიკვეთა კ. ჩიქოვანის როგორც შესანიშნავი სპეციალისტის-ნეიროქირურგის, ისე უბადლო პედაგოგისა და ადამიანის საოცარი ერთიანობა. ეს ორი ერთიანობა ერთ-ერთი თვალსაჩინო ნეიროქირურგთა კოლექტივი, რომელსაც იგი სათუთად და მამაბრივად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

კონსტანტინე ჩიქოვანის მოღვაწეობა ბრძოლდენ ნეიროქირურგიით არ შემოიფარგლებოდა: იგი 1946-1951 წლებში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან ეუფლებოდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოქმედების საიდუმლოებას, რაც დიდ დახმარებას უწევდა ნერვული სისტემის მთელი რიგი დაავადებების პათოლოგიური მექანიზმების ახსნასა და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრაში.

1948-1952 წლებში მუშაობდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი ექსპერიმენტული განყოფილების გამგედ. აქ მან მიაკვლია ექსპერიმენტული არტერიული ჰიპერტენზიის გამოწვევის ახალ ორიგინალურ მეთოდს. ამ მეთოდით მიღებული ქრონიკული არტერიული ჰიპერტენზიის მოდელზე შესრულდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი საკანდიდატო დისერტაცია. 1949-1953 წლებში პროფესორი ჩიქოვანი, როგორც დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრასთან შექმნილი ნეიროქირურგიის დოცენტურის ხაზით. იგი ამზადებდა ნეიროქირურგთა კადრებს არმიისა და საევაკუაციო ჰოსპიტლებისათვის.

1946 წლის ნოემბერში პროფესორ მ. ცხაკაიას თაოსნობით ერთ-ერთი საევაკუაციო ჰოსპიტალის ბაზაზე იხსნება ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ნეიროქირურგიული განყოფილების ორგანიზაცია ეთხოვა კ. ჩიქოვანს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში ნეიროქირურგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, არსებობა.

ამ განყოფილებაში კ. ჩიქოვანმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნეიროქირურგიის სპეციალობით დაინტერესებული პერსპექტიული ექიმების მთელი პლეადა და შექმნა იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი თვალსაჩინო ნეიროქირურგთა კოლექტივი, რომელსაც იგი სათუთად და მამაბრივად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

კონსტანტინე ჩიქოვანის მოღვაწეობა ბრძოლდენ ნეიროქირურგიით არ შემოიფარგლებოდა: იგი 1946-1951 წლებში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან ეუფლებოდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოქმედების საიდუმლოებას, რაც დიდ დახმარებას უწევდა ნერვული სისტემის მთელი რიგი დაავადებების პათოლოგიური მექანიზმების ახსნასა და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრაში.

1948-1952 წლებში მუშაობდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი ექსპერიმენტული განყოფილების გამგედ. აქ მან მიაკვლია ექსპერიმენტული არტერიული ჰიპერტენზიის გამოწვევის ახალ ორიგინალურ მეთოდს. ამ მეთოდით მიღებული ქრონიკული არტერიული ჰიპერტენზიის მოდელზე შესრულდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი საკანდიდატო დისერტაცია. 1949-1953 წლებში პროფესორი ჩიქოვანი, როგორც დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის სასწრაფო სამეცნიერო ნაწილს.

პროფესორი კ. ჩიქოვანი იყო უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი. მის კალამს ეკუთვნის ექსპერიმენტალური თუ პერიფერიული ნერვული სისტემის ქირურგიული პათოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის დარგში დაწერილი 80-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო. სამეცნიერო მუშაობის დროს კონსტანტინე ჩიქოვანი არ ისაზღვრებოდა ფაქტების უბრალო აღწერითა და არსებულ ლიტერატურასთან დაპირისპირებით. მუდამ ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ფაქტს, მისთვის ობიექტური ახსნა მიეცა. მას ჰქონდა ახლის შეგრძნების დიდი ალღო, რაც ესოდენ საჭიროა ყოველ მკვლევარისათვის. სწორედ ამ თვისების წყალობითაც იყო, რომ მან სხვადასხვა დროს მოგვაწოდა მკურნალობისა თუ ოპერაციათა მიდგომის მრავალი ახალი, ორიგინალური მეთოდი, რომლებიც ახლა საქეეყნოდ არის ცნობილი და აღიარებული. მისი ხელმძღვანელობით 15 წლის მანძილზე 250-ზე მეტი ნაშრომი გამოქვეყნდა და მის მიერ დასახული გეზით 17 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია შესრულდა.

პროფესორი ჩიქოვანი დიდ ყურადღებას უთმობდა ამა თუ იმ დაავადებების დაჯგუფებასა და სისტემატიზაციას კლინიკური სინდრომებისა და მკურნალობის მეთოდების შერჩევის გათვალისწინებით.

პროფესორ ჩიქოვანს დიდი სიყვარული და დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეული არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

პროფესორი ჩიქოვანის პრაქტიკული, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი დაფასება იყო 1955 წელს მისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევა.

პროფესორმა კონსტანტინე ჩიქოვანმა თავისი სამეცნიერო-საექიმო მოღვაწეობით და საქართველოში ნეიროქირურგიის სკოლის შექმნით წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა მედიცინის ისტორიაში.

ო. სიგუა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ა. მინდაძე.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გულწრფელობა, უშუალობა

მას კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი... მაგრამ ისიც, რისი ტილოზე გადატანაც მოასწრო, დიდი გულწრფელობითა და უშუალობით არის აღსავსე.

ახალგაზრდა წავიდა იგი ჩვენგან, მაგრამ მაინც შეძლო თავისი წილი სიტყვა ეთქვა და თავისი ადგილი დაეკავებინა ოსური ფერწერის ისტორიაში.

რადი რევაზის ძე ასაევი დაიბადა სოფელ ხეთაგუროვში 1948 წლის 17 აპრილს. ოჯახი დროებით მოსკოვში გადავდა და 1955 წელს რადი ასაევი შედის მოსკოვის 132-ე საშუალო სკოლაში. მალე ოჯახი კვლავ მშობლიურ კუთხეს უბრუნდება და რადიც 1963-1967 წლებში წარმატებით სწავლობს ცხინვალის მ. ს. თუღაინოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. მისი სადიპლომო ნამუშევარი „დედა“ კომისიამ „ფრიადზე“ შეაფასა.

სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რადი ასაევი ლენინგრადის ი. რეპინის სახელობის ინსტიტუტის ფერწერის განყოფილებაზე განაგრძობს სწავლას; აქ მისი პედაგოგი იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ე. მოისეენკო. სადიპლომო ნამუშევრით — „13 კომუნარის დაზვრეტა“ რადი ასაევი წარმატებით ამთავრებს ლენინგრადის ინსტიტუტს.

იწყება საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება, მონაწილეობა თემატურ თუ რესპუბლიკურ გამოფენებში...

ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში თავდაპირველი ადგილი პორტრეტს ეთმობა. იგი ჰაბუკური ტალანტით, ერთგულებით ცდილობს ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმად გაანალიზებას და ასახვას.

რადი ასაევი ალალი გულის ჰაბუკი იყო, შესანიშნავი ამხანაგი, ერთგული მეგობარი. აი, რას ამბობს საქართველოს სახალხო მხატვარი, კოსტა ხეთაგუროვი, პრემიის ლაურეატი ბორის სანაკოევი: „იგი თავისი იდეალებისა და ამხანაგების ერთგული იყო. მასთან ყოველთვის მშვიდად და თავისუფლად გრძნობდით თავს“...

მხატვარი დიდ ინტერესს იჩენდა თემატური სურათებისადმი. იგი ქმნიდა ესკიზებს, ათასჯერ აანალიზებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰქონდა დიდ ტილოზე თავისი ნააზრევი და განცდილი.

რ. ასაევი უწინარეს ყოვლისა, ლირიკოსი მხატვარია, — ოქროსფერი შუადღეები, მეწამული საღამოები, კარელიის ტბების ლაქვარდი და დათოვლილი მთები სამშობლოსადმი მიძღვნილი სიმფონიაა.

მისი ნამუშევრებიდან კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდა მხატვარს უკვე არჩეული ჰქონდა პოზიცია, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო უნდა განმტკიცებინა, მაგრამ არ დასცალდა...

ის ნამუშევრები კი, რომლებიც მან დაგვიტოვა — ადამიანების, ბუნების, სიცოცხლის სიყვარულით გაჟღენთილი ნამუშევრები — არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

თბილისური ვერნისაჟიც ამის ნაიელი დადასტურება იყო. აჭეარად გამოფენამ თერჯოლაში გადინაცვლა, შემდგომ კი მას რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც გაეცნობინან.

ქ. ახობაძე,
ხელოვნებათმცოდნე.

ბიჭნებ გუგომი და ქოზიფა ერთია?!

ეურნალ „კვალის“ 1897 წლის კომპლექტის გადათვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო წერილმა „საციციანოს მთა და მისი არხეოლოგიური ნაშთები“ (№ 8), აგრეთვე წერილს დართულმა ცნობილი ისტორიული პირის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სურათმა, რომელსაც აქვე ვამეორებთ. ეს სურათი სპეციალისტებისთვისაც კი უცნობი აღმოჩნდა.

წერილის ავტორი იასონ ციციშვილი გვეზიარებს იმ დიდ აღფრთოვანებასა და განცვიფრებას, რომელიც მასში ქართული ხუროთმოძღვრების ორი ფრიად უნიკალური ძეგლის — **წმიდის ნიკოლოზისა და ქოზიფას მონასტრების** ხილვას გამოუწვევია. ამასთან ავტორი არც თავის გულისწყრომასა და აღშფოთებას მალავს ეროვნული ხელოვნების ამ უბადლო შედევრებისადმი უყურადღებობის გამო, რასაც თავადნი ციციშვილნი ავლენდნენ. მაგალითად, წმიდის ნიკოლოზის ტაძრის მდგომარეობის აღნიშვნისას იგი წერს: „ამის გაახლებისა და გაშენების მოვალენი არიან თვით ციციშვილები, რადგანაც მათი წინაპრისაგან არის აგებული და დიდ ცოდვად ჩაეთვლებათ, რომ ასეთი ძვირფასი და სამაგალითო ტაძარი დედამიწის ზურგიდან მათი დაუდევრობით აღიფხვრას“.

წერილის ფოტოპირი აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს ვუჩვენეთ.

— წმიდის ნიკოლოზის ტაძარი, — თქვა პატივცემულმა მეცნიერმა, — ეს ყველასათვის კარგად ცნობილი ყინწვისია. რაც შეეხება ქოზიფას, ამ სახელწოდების ძეგლზე აქამდე არაავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

აი, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი („საქართველოს გეოგრაფია“, 1904 წ. გვ. 82):

„...ძმორეთის დასავლეთს, ქვეძინეთს ერთვის ძმას ხევი მუხალეთისა. აქა არს ცხე. კვალად ქვეძინეთს დასავლით მიერთვის ხევი აბუხალასი. აქა არს ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა, მრავალნი. მას შინა ეკლესია კაცთა შეუვალი სამაგრით. აქედან გარდავალს გზა გუჯარეთს, ამ გზის დასავლით და **ქოზიფას ზეით** არს კალე ფშვნიერი ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო და მის ქვეით არს **მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილ-შენი მთახა შინა და აწ უქმი**“.

„კვალში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორის სიტყვით, „ტაძრის კედლები ნაშენია მთლად თლილი პირისფერი კლდის ქვისაგან. აღმოსავლეთით სული წმიდის ფანჯარა შიგ შუა ჯვარშია ამოჭრილი, თვით ჯვარი არის ფიერუნის ფერის ქვისაგან შემდგარი, რომლის ჩუქურთმა და ქანდაკები კალმით აუწერელია. ჯვრის თავზე, მიხაკის ფერის ქვისაგან გამოქანდაკებული მეფის გვირგვინი ადგია, რომლის მსგავსი ჩუქურთმა და ხელოვნება ჯერ არსად ნახულა...“ ეკლესიისათვის გარსშემოვლებული არშია „ისეთის ყურძნის ტევნებისა და ვაზის ფოთლით არის გამოქანდაკებული, რომ უკეთესს თვალი ვეღარას ნახავს“.

რაც შეეხება ეკლესიის შიდა კედლების გაფორმებას ამის თაობაზე იასონ ციციშვილი აღნიშნავს, რომ „...შიგნით მთლათ ეკლესია ვიზანტიის ხელოვნური ოქროს ვარაყით და ლაჟვარდი წაღლით ნახატია, თითქოს მინანქრით იყოს ნახატი“...

ქოზიფას გზა-კვალი გავიკითხეთ.

— ქოზიფა! პირველად მესმის,— გვითხრა ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ზ. გაბუნიამ — სოფელ ტყემლოვანში კი მე თავად გადავიღე ფოტოალბომისათვის ორი სურათი გუგომის კომპლექსისა.

გუგომი?!. კვლავ გადავათვალიერეთ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ სათანადო ფურცლები, ჩავიზიდეთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შესაბამის ტომშიც, მაგრამ ამდაგვარი ძეგლის არსებობის თაობაზე არაფერია თქმული.

ზ. გაბუნიას გადაეცა ფოტოები ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაკებს ვაჩვენეთ. მეცნიერმა თანამშრომელმა კაცია გიორგობიანმა ინსტიტუტში არსებული პასპორტი მოძებნა, რომელსაც დართული აქვს გუგომის ხუროთმოძღვრული კომპლექსის საფუძვლიანი აღწერა. მაგალითად, ეკლესიის აღწერაში აღნიშნულია: „ეკლესია მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა. ამჟამად მხოლოდ აქა-იქ არის შემორჩენილი ფრესკების ფრაგმენტები. საკურთხევლის კედელზე რადენიმე წმინდანის სახის კონტურებიც გაირჩევა“. პასპორტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ კომპლექსში არის VIII-IX, XIII და გვიანი შუა საუკუნეების ძეგლები, რომ ავტორი, ამშენებელი, დამკვეთი და შემქმნის ისტორია უცნობია. რომ ძეგლი გადაკეთებული არ არის, კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობა ცუდია და ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობია.

პასპორტის შემდგენელს მ. მგალობლიშვილს მოსწონებია გუგომის კომპლექსი, ქებას ასხამს მის ამგებს. „...ცალკეული ელემენტები ორიგინალური არ არის, — წერს იგი — მაგრამ მთლიანად კომპოზიციას პარალელები არა აქვს. მხატვარი თავისუფლად ფლობს ინსტრუმენტს. ოსტატურად გამოჰყავს ჩუქურთმა... ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმოსავლეთისაა გადარჩენილი თავდაპირველი სახით. სწორედ ის, რომელიც ოსტატს განსაკუთრებული გულმოდგინებით უშენებია. აქ ყველაფერი შესანიშნავად არის მოფიქრებული“.

„ამრიგად, ტყემლოვანი თავისებურ და უაღრესად საინტერესო ხუროთმოძღვრულ კომპლექსს წარმოადგენს“, — დასკვნის ავტორი.

ყოველივე ამის საფუძველზე ხომ არ არის საფიქრელი, რომ ბიჭნებ გუგომი და ქოზიფა ერთი და იგივე ძეგლია?

ორიოდე სიტყვა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სურათის თაობაზე. თავის წერილში იასონ ციციშვილი აღნიშნავს, რომ წმიდის ნიკოლოზის ტაძარში თამარ მეფის ფრესკის მარჯვნივ გამოსახულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მეუღლითურთ. სავარაუდოა, რომ „კვალში“ დაბეჭდილი სურათი ფრესკის შტრიხული გამოსახულებაა. ამასთან ისიც სავარაუდოა, რომ ამ სურათის ავტორი თვით იასონ ციციშვილია.

1886 წლის „ივერიის“ № 212-ის მესამე გვერდზე დასტამბულ ინფორმაციაში ნსენებული იასონ ციციშვილი უეჭველად ჩვენ მიერ მრავალჯერ მოხსენიებული პიროვნება უნდა იყოს, აი ისიც:

„... თ. იასონ ციციშვილი გვარიანი მხატვარი ყოფილა, ჰპირდება საზოგადოებას, რომ შემდეგისთვის, როცა სცენა მკვიდრს ნიადაგზე დამყარდებაო, უფრო ხელოვნურად შევამზადებთ ფარდასაო“.

ამ ინფორმაციის დაბეჭდვიდან ზემოხსენებული წერილის გამოქვეყნებამდე („კვალში“) მხოლოდ თერთმეტი წელი გვაშორებს და აქ, ვიმედოვნებთ, საეჭვო არა უნდა იყოს რა.

რაც შეეხება თვით წმინდა ნიკოლოზის, ანუ ყინწვისის ცნობილ ტაძარს, იგი ხომ დაცულია სახელმწიფოს მიერ და რესტავრირებულიც; ახლა ქოზიფა-გუგომსაც უნდა მიხედვა.

დ. ჟუჟუკაშვილი,
ეურნალისტი.

სურათებზე: ეურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული ზაზა ფანასკერტელ ციციშვილის პორტრეტი; გუგომის ეკლესია სოფელ ტყემლოვანში.

ზ. გაბუნიას ფოტო.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ მუშაკთა სახლში გაიმართა თბილისის ვ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო-საგუნდო სკოლის მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი. ეს სკოლა ჯერ სულ ახალგაზრდაა — მისი ბიოგრაფია 1981 წლიდან იწყება.

ბავშვთა სპეციალური საგუნდო სკოლის შექმნის იდეა დიდი ხანია იშვა. ეს საკითხი აღელვებდა საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოებრიობის, რადგან ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ასე უყვართ საგუნდო სიმღერა და სადაც ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანია ფოლკლორული მასალა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბავშვთა საგუნდო სკოლა.

და აი, საქართველოს მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების პრეზიდიუმის ინიციატივით თბილისში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი ბავშვთა ექსპერიმენტული სამუსიკო-საგუნდო სკოლა (დირექტორი — ლევან ასათიანი), სადაც ბავშვებს 6 წლის ასაკიდან იღებენ. სხვა სამუსიკო სკოლებისაგან განსხვავებით, აქ გუნდის კლასით მეცადინეობა წარმოებს ფორტეპიანოს კლასით მეცადინეობის დონეზე, ესე იგი ეს ისეთივე სპეციალური საგანია. სკოლაში მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რაც თვალნათლივ დაადასტურა საანგარიშო კონცერტის მონაწილე მუსიკოსი ჟ. ალანიას ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის ასისტენტად და სპეციალურად მისთვის გამოყოფილი 20-საწოლიანი ნეიროქირურგიული განყოფილების გამგედ.

1939 წელს პროფესორ ა. მაჰავარიანის შუამდგომლობით სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორთა საბჭო მას პრივატ-დოცენტის წოდებას ანიჭებს.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე იგი საბჭოთა არმიის რიგებშია. ჯერ არმიის ნეიროქირურგიული ჯგუფის უფროსის, ხოლო შემდეგ სპეციალიზებული ნეიროქირურგიული ჰოსპიტლის წამყვანი ქირურგის მოვალეობას ასრულებს.

ჰოსპიტალში მუშაობის პერიოდში ნათლად გამოიკვეთა კ. ჩიქოვანის როგორც შესანიშნავი სპეციალისტის-ნეიროქირურგის, ისე უბადლო პედაგოგისა და ადამიანის საოცარი ერთიანობა. ეს ორი ერთიანობა ერთ-ერთი თვალსაჩინო ნეიროქირურგთა კოლექტივი, რომელსაც იგი სათუთად და მამაბრივად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

კონსტანტინე ჩიქოვანის მოღვაწეობა ბრძოლდენ ნეიროქირურგიით არ შემოიფარგლებოდა: იგი 1946-1951 წლებში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან ეუფლებოდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოქმედების საიდუმლოებას, რაც დიდ დახმარებას უწევდა ნერვული სისტემის მთელი რიგი დაავადებების პათოლოგიური მექანიზმების ახსნასა და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრაში.

1948-1952 წლებში მუშაობდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი ექსპერიმენტული განყოფილების გამგედ. აქ მან მიაკვლია ექსპერიმენტული არტერიული ჰიპერტენზიის გამოწვევის ახალ ორიგინალურ მეთოდს. ამ მეთოდით მიღებული ქრონიკული არტერიული ჰიპერტენზიის მოდელზე შესრულდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი საკანდიდატო დისერტაცია. 1949-1953 წლებში პროფესორი ჩიქოვანი, როგორც დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის სასწრაფო სამეცნიერო ნაწილს.

პროფესორი კ. ჩიქოვანი იყო უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი. მის კალამს ეკუთვნის ექსპერიმენტალური თუ პერიფერიული ნერვული სისტემის ქირურგიული პათოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის დარგში დაწერილი 80-ზე მეტი ნაშრომი